საერთაშორისო მოკლევადიან მობილობებში მონაწილე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებისა და პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მომსახურების წესი

დამტკიცებულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
აკადემიური საბჭოს 2012 წლის 19 მარტის №5 დადგენილებით

ცვლილებები შევიდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის № 146/2021 დადგენილებით

1. საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი ფაკულტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს უცხოელი და კონსერვატორიის სტუდენტების (შემდგომში: სტუდენტი) საერთაშორისო მოკლევადიან მობილობაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს;
2. საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო დეპარტამენტს და სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტს აწვდის საჭირო ინფორმაციას საერთაშორისო მოკლევადიან მობილობაში მონაწილე უცხოელი და კონსერვატორიის სტუდენტების შესახებ;
3. საერთაშორისო მოკლევადიან მობილობაში მონაწილე უცხოელი სტუდენტისათვის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი ამზადებს სასწავლო ხელშეკრულებას (Learning Agreement, ფორმა 1), რომელსაც ხელს აწერენ კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ასევე სტუდენტის მშობლიური უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირები. საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი უგზავნის ორმხრივად ხელმოწერილ სასწავლო ხელშეკრულების ასლს (Learning Agreement) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
4. საერთაშორისო მოკლევადიან მობილობებში მონაწილე კონსერვატორიის სტუდენტებისთვის მზადდება სასწავლო ხელშეკრულება (Learning Agreement), რომლის მომზადების წესი რეგულირდება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 24 დეკემბერის № 145/2021 დადგენილებით დამტკიცებული: "Erasmus + საერთაშორისო მობილობაში სტუდენტთა მონაწილეობის წესის დამტკიცების შესახებ" დანართის 2.5. პუნქტისა და "სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მობილობის, შიდა მობილობის/რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტთა მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 ნოემბრის № 124/2021 დადგენილების დანართის მე-5 მუხლის შესაბამისად;
5. საერთაშორისო მოკლევადიანი მობილობის დასრულებისას მობილობაში მონაწილე უცხოელი სტუდენტისთვის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს ნიშნების ფურცელს (Transcript of Records) ინგლისურ ენაზე;

6. საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ მომზადებულ უცხოელი სტუდენტის ნიშნების ფურცელს (Transcript of Records) ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი. დოკუმენტი მოწმდება ბეჭდით;
7. საერთაშორისო მოკლევადიანი მობილობის დასრულებისას მობილობაში მონაწილე კონსერვატორიის სტუდენტი საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტში წარმოადგენს მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული ნიშნების დამოწმებულ ფურცელს (Transcript of Records);
8. საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი უგზავნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს კონსერვატორიის სტუდენტის მიერ მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული ნიშნების დამოწმებული ფურცლის (Transcript of Records) ასლს, რომლის საფუძველზეც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მოქმედი აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 ნოემბრის № 124/2021 დადგენილებით დამტკიცებული „მობილობის, შიდა მობილობის/რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტთა მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესისა" და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №98/ნ ბრძანების საფუძველზე ორგანიზებას უწევს საერთაშორისო მოკლევადიანი მობილობის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების პროცედურას.